საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1658/01
25/02/2021

1658-01-2-202102251401

შპს „თიკოილის“ დირექტორს
ქალბატონ თინათინ ცარციძეს
მის: ქ. საჩხერე, რევაზ ჯაფარიძის ქ. N 8
ელ. ფოსტა: Tiko123tsartsidze@gmail.com

ქალბატონო თინათინ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 12 თებერვლის N2347 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. გორისაში ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავის) მოწყობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

თქვენ მიერ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით ტერიტორიაზე დაგეგმილია ავტოგასამართი სადგურის მოწყობა და ექსპლუატაცია, თუმცა, სკრინინგის განცხადებაზე თანდართული იჯარის ხელშეკრულების მიხედვით, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს არსებული ავტოგასამართი სადგური. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილია თუ არსებულ ობიექტს წარმოადგენს სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი საქმიანობა.

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული, ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობები, რომლებიც არ მოიცავს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობებს, არ საჭიროებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას. აღნიშნულ საქმიანობებზე ვრცელდება გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს რომელი წლიდან ფუნქციონირებს იჯარის ხელშეკრულებაში აღნიშნული ავტოგასამართი სადგური და იგეგმება თუ არა ობიექტებზე რაიმე სახის მშენებლობა/რეკონსტრუქცია ან/და ნავთობპროდუქტებისათვის დამატებითი რეზერვუარების მოწყობა.

სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ასევე საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- იმ შემთხვევაში, თუ ტერიტორიაზე დაგეგმილია ავტოგასამართი სადგურის მოწყობის სამუშაოები, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მოწყობის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების და მათი შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, „დაგეგმილი საწარმოს ტერიტორიაზე და მის უშუალო სიახლოვეს არ ფიქსირდება მრავალწლიანი მცენარეული სახეობები, მით უმეტეს საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობები“. თუმცა, წარმოდგენილი მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ ავტოგასამართი სადგურის განთავსების ადგილიდან 35 მეტრში მდებარეობს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და კორექტირებას.
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა გაფრქვევას 2 წყაროდან. თუმცა, ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 7 საწვავის რეზერვუარის და 6 გამცემი საწვავ-მარიგებელი სვეტის განთავსება. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას.

სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე